ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 12

ქ. ლანჩხუთი

19.12.2022
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**

კომისიის წევრები: გიორგი იმნაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, ვლადიმერ ნანაძე, გიორგი ჩახვაძე, კარლო კვიტაიშვილი.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპლიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: გივი ცინცაძე, კახაბერ ასკურავა, გოჩა ჯანაშია.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის (პარლამენტის წევრის) ვასილ ჩიგოგიძის ბიუროსათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

7.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

8. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე: 6; წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალიწინებით 2023-2026 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

¬ ინფრასტრუქტურის განვითარება;

¬ დასუფთავება და გარემოს დაცვა;

¬ განათლება;

¬ **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
¬ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.**
¬ **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.**

კომისიის წევრების აზრით სასურველია, რომ მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც წლების მიხედვით ადმინისტრაციული ერთეულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები დეტალურად იქნება გაწერილი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები). მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 12739,0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1444,0 თასი ლარით (12,8 %-ით).

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

¬ **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11539,0 ათასი ლარით;
2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 19,0 %-ით (1429,0 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;
¬ **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1200,0 ათას ლარს;
2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 200 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.
¬**გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 380,0 ათასი ლარით, მათ შორის:
⎫ სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი (მიზნობრივი) 380.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინასებაზე;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 135 ათ. ლარით გაიზარდა (55,1%-ით) .

2023 **წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:**
¬ **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
⎫ რენტა 110,0 ათასი ლარი;
2022 წლის გეგმიური მაჩვენებელი შენარჩუნებულია.
შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 42,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
⎫ სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი;
⎫ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი;
⎫ არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 20,0 ათასი ლარი;

აღნიშნული შემოსავლები 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში. ¬ **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1850.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 25,0 % -ით. (2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი გათვლილია 2022 წლის მოსალოდნელი შესრულების გათვალიწინებით)

• არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 110,5 ათასი ლარს;
ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ.ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 19757,7 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 5333,3 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:
¬ **ინფრასტრუქტურის განვითარება - 4342,9 ათასი ლარი; მათ შორის:**
⎫ **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2590,0 ათასი ლარი;**
⎫ **წყლის სისტემების განვითარება -160,3 ათასი ლარი;**
⎫ **გარე განათება - 769,5 ათასი ლარი;**
⎫ **კეთილმოწყობის ღონისძიებები-150,0 ათასი ლარი;**
⎫**მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 23,1 ათ ლარი**
⎫**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 550,0 ათასი ლარი:**
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

⎫ **ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათ. ლარი**
¬ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2324.0 ათასი ლარი, მათ შორის:**
⎫ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა** - 2049.2 ათასი ლარი
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

⎫ **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 249.8 ათასი ლარი**

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

⎫ **უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

¬ **განათლება - 3481,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

⎫ **სკოლამდელი განათლება - 3450,0 ათასი ლარი;**

⎫ **განათლების ღონისძიებები - 31,0 ათასი ლარი**

¬ **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2963,6 ათასი ლარი მათ შორის:**

⎫ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1355,4 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

⎫ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1588,2 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

⎫ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა -20,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდების ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

¬ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1061,5 ათასი ლარი, მათ შორის:** ⎫ **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 194,5 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

⎫ **სოციალური პროგრამები - 867,0 ათასი ლარი;**

¬ **მმართველობა - 5589,7 ათასი ლარი, მათ შორის:**

⎫ საკრებულოს დაფინანსება - 1278,1 ათასი ლარი;
⎫ მერია - 3746,1 ათასი ლარი;
⎫ სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;
⎫ სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური-185,5 ათასი ლარი;
⎫ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 90,0 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -31,9 ათასი ლარი.
⎫ წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 20,0 ათ ლარი

¬ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5346,3 ათასი ლარი;
¬ თავდაცვა - 185,5 ათასი ლარი;
¬ ეკონომიკური საქმიანობა - 2713.1 ათასი ლარი;
¬ გარემოს დაცვა - 2299 ათასი ლარი;
¬ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1649.8 ათასი ლარი;
¬ ჯანმრთელობის დაცვა - 194,5 ათასი ლარი;
¬ დასვენება, კულტურა და რელიგია-2963,6 ათასი ლარი;
¬ განათლება -3481 ათასი ლარი;
¬ სოციალური დაცვა -867 ათასი ლარი

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით (კანცელარიის 04-30223418-30; 30.11.2022 წელი) მომართა ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის" (ს/კ 402157330) დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლადო შელიამ, რომელმაც მისი ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩოჩხათში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული სამი ფართის (ს/კ 27.13.43.001.01.500 – 14,10 კვ.მ; ს/კ 27.13.43.001.01.502 – 14,88 კვ.მ; და ს/კ 27.13.43.001.01.504 – 22,81 კვ.მ; საერთო ფართით - 51,79 კვ.მ;) სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაეცეს ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" (ს/კ 402157330), რათა დაწესებულებამ შესძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება, კერძოდ; „2022 წლის

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის 4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ – „სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებამ“ (ს/კ 233731478), რომელმაც აიპის ადმინისტრაციული შენობის, ჩიბათისა და ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელ ქვიანში) ახალი ბიბლიოთეკების განთავსების მიზნით, ითხოვა მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების გადაცემა. კერძოდ;
ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3252 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა, საერთო ფართით -2853,80 კვ.მ. (კულტურის ცენტრის შენობა ს/კ 27.06.56.016)
ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვიანში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27.04.50.282.01.500; ფართი - 26,90 კვ.მ.)
გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ჩიბათის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.09.46.013.01.503) პირველ სართულზე მდებარე სამი ოთახი, საერთო ფართით -113,99 კვ.მ.

მისივე განმარტებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, მისი არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაეცეს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“, ვინაიდან დაწესებულებამ შეძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის (პარლამენტის წევრის) ვასილ ჩიგოგიძის ბიუროსათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 9 დეკემბერს 12045/3-107/22 განცხადებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა (კანცელარიის 02-302234360-30; 09.12.2022 წელი) საქართველოს პარლამენტის წევრმა ვასილ ჩიგოგიძემ, რომელშიც ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში მერაბ კოსტავას ქუჩა 37-ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების მესამე სართულზე არსებული 2 ოთახის, საერთო ფართით 33,96 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.114), უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემას, პარლამენტში გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ ჩიგოგიძის ბიუროს ფუნქციონირებისათვის. მისი განმარტებით, სამსახურის მოსაზრებაა, პარლამენტში გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ ჩიგოგიძის ბიუროს გადაეცეს ქ. ლანჩხუთში მერაბ კოსტავას ქუჩა 37-ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე არსებული 2 ოთახი საერთო ფართი 33,96 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.114) სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის არსებობის ვადით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომმართა დაინტერესებულმა პირმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 1808 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 1 – 288,78კვ.მ; 2- 53,07 კვ.მ. და 3 – 26,49 კვ.მ. შენობა-ნაგებობების (ს/კ 27.05.48.016) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მან ასევე აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოაცხადოს განსაზღვრული ვადით, სასყიდლიანი ელექტრონული აუქციონი, რისთვისაც საჭიროა, რომ „ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვროს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა.

სამსახურის უფროსის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიამ, ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან (რომელიც ასახულია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 1 დეკემბრის 008282322 ექსპერტის დასკვნაში) გასაანგარიშებელი კოეფიციენტის (12.5-%) ოდენობით, რომელიც გაწერილია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმას დაემატა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე 18 კვ.მ. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.51.396). აღნიშნული უძრავი ქონება გამოეყო 27.06.51.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითად ქონებას, ვინაიდან დაკარგული აქვს თავისი ფუნქციური დანიშნულება. რეალურად და ფაქტობრივად ის არ გამოიყენება ძირითადი ქონების სტატუსით. მისი თქმით, სამსახურის მოსაზრებით მართებულია, რომ შემგომში განკარგვის მიზნით ხსენებული ქონება აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №12

19.12.2022 წელი
12.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 19 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის (პარლამენტის წევრის) ვასილ ჩიგოგიძის ბიუროსათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

7.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის (პარლამენტის წევრის) ვასილ ჩიგოგიძის ბიუროსათვის

პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

19.12. 2022 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	11:50.	
2	ალექსანდრე მახათაძე	12:00	
3	კარლო კვიტაიშვილი	11:55	
4	გიორგი იმნაიშვილი	11:56	
5	ვლადიმერ ნანაძე	11:55	
6	გიორგი ჩახვაძე	11:59	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	